ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 35
30/04/2019

35-48-4-201904301203

ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წლის საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №48 84 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წლის საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2019 წლის 30 აპრილის N48 35 განკარგულებით.

ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით

2018 წელს მუნიციპალიტეტში დაიხვნა და დაითესა 1385 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. სულ სახნავ-სათესი სავარგული აღრიცხულია 3494 ჰეტქარი. პროგრამით ოთხი წლის წინ დაიხნა 2300 ჰექტარი.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მობილიზებულია სულ 20 ერთეული სახნავი აგრეგატი (ტრაქტორი) და აღრიცხულია 500 ერთეულამდე მინი სახნავი მოტობლოკი.

ცუცხვათი - 1 ერთეული სახნავი მექანიზმი, მცირეგაბარიტიანი მოტობლოკი 60 ერთეული.

ორპირი - 5 ერთეული სახნავი მექანიზმი, მცირეგაბარიტიანი მოტობლოკი 70 ერთეული.

მუხურა - 1 ერთეული სახნავი მექანიზმი, მოტობლოკი 70

ჯვარისა - არცერთი სახნავი მექანიზმი არ ფიქსირდება. აღრიცხულია 25 მცირგაბარიტიანი მოტოლოკი.

გურნა - 2 ერთეული სახნავი მექანიზმი, 50 ერთეული მცირეგაბარიტიანი მოტობლოკი.

სოჩხეთი - 3 ერთეული სახნავი მექანიზმი, 55 ერთეული მცირეგაბარიტიანი მოტო ბლოკი.

საწირე - 5 ერთეული სახნავი მექანიზმი, 60 ერთეული მცირეგაბარიტიანი მოტო ბლოკი.

ხრესილი - არ ფლობს სახნავ მექანიზმს, 45 ერთეული მცირეგაბარიტიანი მოტო ბლოკი.

კურსები - ხვნა-თესვა ხორციელდება შ.პ.ს ,,მექანიზატორის" კუთვნილი ტექნიკით, 50 ერთეული მცირეგაბარიტიანი მოტობლოკი.

ასევე ხვნა-თესვის პროცესში მონაწილეობას მიიღებს შ.პ.ს. ,,მექანიზატორის" სახნავი მექანიზმები - ბელორუსის მარკის სახნავები.

გასულ წელს ნაწილი დახნული მიწის ნაკვეთებისა არ დაითესა. მიზეზად ფიქსირდება სასუქის მაღალი ფასი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია სულ:

სახნავი მექანიზმი (ტრაქტორი) -20 (ოცი)

მცირეგაბარიტიანი მოტობლოკი - 500 ერთეული

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე დახნულია 40 ჰექტარი სახნავი ფართობი.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო